

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს
ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონი
მონიტორინგის შედეგები



საქართველოს სახალხო დამცველი

თბილისი

2021

სარჩევი

შესავალი	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია	3
1. ზოგადი ინფორმაცია ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონის შესახებ.....	4
2. ინფორმაცია მომსახურების შესახებ და დაწესებულების დოკუმენტაცია	6
3. შენობის ფიზიკური გარემო.....	9
3.1. შენობის ფიზიკური გარემო და კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციები	11
4. კვება	12
5. ჯანმრთელობის დაცვა	14
6. ძალადობისგან დაცვა	16
7. განათლების უფლება.....	18
დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება	19
8. ბავშვებთან გასაუბრების შედეგები	21
დასკვნა.....	23
რეკომენდაციები	24

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში ასახულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონში 2021 წლის 15 ივნისს ჩატარებული მონიტორინგის შედეგები. დაწესებულებაში ვიზიტის მიზანი იყო არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი გარემოს და მათზე გაწეული მზრუნველობის შეფასება. პანსიონში ვიზიტის ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა შეაფასეს ფიზიკური გარემო, ასევე, გაეცნენ პანსიონის დოკუმენტაციას, გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელებს, აღმზრდელებსა და აღსაზრდელებს.

მონიტორინგის შედეგების თანახმად, პანსიონში აღსაზრდელთა საცხოვრებელი გარემოს ფიზიკური მოწესრიგებისა და საბაზო საჭიროებების უზრუნველყოფის მიუხედავად, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების და პირადი სივრცით უზრუნველყოფის საკითხები. განსაკუთრებით მწვავედ დგას აღსაზრდელების გარე სამყაროსთან ინტეგრირების, სოციალიზაციის პრობლემა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ბავშვებში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ამასთანავე, პანსიონში დამკვიდრებული სააღმზრდელო ფორმა მეტად ინსტიტუციური ხასიათისაა და ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ ოჯახურ გარემოს არ შეეფერება. ვიზიტისას, ასევე გამოიკვეთა დაწესებულებისა და აღსაზრდელთა დოკუმენტაციის მოწესრიგებისა და სისტემატიზაციის საჭიროება.

ვიზიტის დასასრულს, შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა სახალხო დამცველის რწმუნებულებსა და პანსიონის ხელმძღვანელობას შორის, რომლის ფარგლებშიც სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დაწესებულების ხელმძღვანელებს გააცნეს მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი პრობლემური საკითხები და მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგის პროცესი ემყარებოდა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის მიერ შემუშავებულ ისეთ სახელმძღვანელო პრინციპებს¹, როგორცაა სარწმუნო და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, კონფიდენციალობის დაცვა, სანდოობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სენსიტიურობა და პროფესიონალიზმი, ზიანის მიუყენებლობა, მანდატის პატივისცემა, სტანდარტების ცოდნა, საღად განსჯა, კონსულტაციების გავლა, სიზუსტე, პატიოსნება, თვალსაჩინოება და ა.შ..

პანსიონის მონიტორინგი ჩატარდა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ფარგლებში და ემყარებოდა საქართველოს კონსტიტუციას, გაერთიანებული

¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი, „სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების მონიტორინგის შესახებ“, პროფესიული ტრენინგების სერია №7, თავი 5, ძირითადი პრინციპები, ჟენევა, ISBN 92-1-154137-9.

ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციას, ბავშვის უფლებათა კოდექს², სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ საქართველოს კანონს³, ტექნიკურ რეგლამენტს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ⁴ და სხვა საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ აქტებს.⁵

ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონის მონიტორინგის მეთოდოლოგია საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების მიხედვით შემუშავდა.⁶ მონიტორინგი ჩატარდა წინასწარ შემუშავებული, თემატური, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით, რომლებიც ეხებოდა დაწესებულების ფიზიკურ-მატერიალურ მოწყობას, კვებას, სანიტარია-ჰიგიენას, პანსიონში არსებულ დოკუმენტაციას, ბავშვების ძალადობისგან დაცვის მექანიზმებსა და სააღმზრდელო პროცესს. სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით გაიმართა, ასევე, დაწესებულების თანამშრომლებთან და აღსაზრდელებთან გასაუბრება.⁷

1. ზოგადი ინფორმაცია ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონის შესახებ

ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონი, სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ საქართველოს კანონისა და ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, 2016 წელს ლიცენზირებული სააღმზრდელო დაწესებულებაა, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო კომპონენტი. დაწესებულება

² ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

³ „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №1074 დადგენილება, 2005, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3307127?publication=5#DOCUMENT:1> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

⁴ „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №66 დადგენილება, 2014, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2198153?publication=5> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

⁵ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №5361-III დადგენილება; ბავშვთა 24 საათიანი ზრუნვის დაწესებულებებისთვის (მათ შორის, დედათა და ბავშვთა თავშესაფარი) ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და კონტროლის სტანდარტები.

⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1-ლი იანვრის №66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ივნისის დადგენილება №5361-III „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 26 ივნისის №1775 დადგენილების „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და ბავშვთა 24 საათიანი ზრუნვის დაწესებულებებისთვის (მათ შორის, დედათა და ბავშვთა თავშესაფარი) ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და კონტროლის სტანდარტები.

⁷ ვიზიტის ფარგლებში, სახალხო დამცველის რწმუნებულები ინდივიდუალურად შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების 13 აღსაზრდელს.

24 საათიან მომსახურებას უწევს იქ მყოფ არასრულწლოვნებს, რომლებიც პანსიონში ალტერნატიული სახელმწიფო ზრუნვის ფორმის ფარგლებში ცხოვრობენ.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების დაწესებულებაში ვიზიტის, კერძოდ, 2021 წლის 15 ივლისის მონაცემებით, პანსიონში ირიცხება 101 არასრულწლოვანი აღსაზრდელი, მათ შორის, მცირეწლოვნები. აღსაზრდელთაგან ორს აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, ხოლო რვას - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ პანსიონში 2020 წლიდან ცხოვრობს, თუმცა მონიტორინგის დროისთვის არ იყო ჩარიცხული 11 არასრულწლოვანი. პანსიონის თანამშრომლებმა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკს ამ ბენეფიციართა შესახებ ბავშვების დაწესებულებაში მიყვანისთანავე შეატყობინეს და მათი ჩარიცხვა ითხოვეს, თუმცა ჩარიცხვის პროცესი ჭიანჭურდება. დაწესებულების ადმინისტრაციის ინფორმაციით, ამ ბავშვებს, დაწესებულებაში განთავსების შემდგომ, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკი არ შეხვედრია.

ამასთანავე, პანსიონის ტერიტორიაზე, როგორც უშუალოდ შენობის შიგნით, ისე მის ეზოში მდებარე შენობაში, ცხოვრობს 10 სრულწლოვანი ახალგაზრდა, პანსიონის ყოფილი აღსაზრდელი, რომლებმაც ვერ შეძლეს დამოუკიდებელი ცხოვრების პირობებში საკუთარი თავის უზრუნველყოფა, მუშაობენ ან სწავლობენ და საჭიროებენ თავშესაფარს.

დაწესებულებაში არის 15 საადმინისტრაციო ჯგუფი, 40 აღმზრდელი და 23 პედაგოგი, პანსიონის სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, ასევე იგეგმება სპეციალური პედაგოგის მიღებაც. დამატებით, დაწესებულებას ჰყავს 4 ექთანი და ემსახურება 3 ექიმი, მათგან ერთ-ერთი ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ექიმია.

დაწესებულების დღის განრიგი

დღე პანსიონატში ბენეფიციარებისთვის დილის 9-ის ნახევარზე, საუზმით იწყება. 10-ის ნახევრიდან ბავშვები სკოლაში ინაცვლებენ, რომელიც პანსიონის შენობის შიგნით, მე-3 სართულზეა განთავსებული. გაკვეთილების დასრულებისა და სადილის შემდეგ, გათვალისწინებულია გახანგრძლივებული და ინდივიდუალური მეცადინეობა, რომლის დროსაც, ბავშვები, აღმზრდელების დახმარებით, გაკვეთილებს ამზადებენ. დღის შემდგომი ნაწილი დაწესებულებაში არსებულ სახელოვნებო თუ სხვა წრეებში ბავშვების ჩართულობას ეთმობა. დაწესებულებაში საღამოს 5:00 საათიდან საღამოს 11:00 საათამდე ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი და ტელეფონი. თუმცა, ეს შეზღუდვა არ მოქმედებს უფროსი ჯგუფისა და აბიტურიენტი აღსაზრდელებისთვის. ტელეფონი თითქმის ყველა ბენეფიციარს აქვს. დღის რეჟიმითაც დასტურდება და ვიზუალური დათვალიერებითაც შესამჩნევია, რომ აღსაზრდელებთან უფრო მეტად სახელოვნებო წრეები ტარდება და სპორტულ აქტივობებს ნაკლები დრო ეთმობა.

2. ინფორმაცია მომსახურების შესახებ და დაწესებულების დოკუმენტაცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2010 წლის ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების თანახმად, არასრულწლოვანსა და მის ოჯახს ამომწურავი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ ალტერნატიული ზრუნვის შესახებ და ზრუნვის ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას, მის საფუძველზე იღებდნენ.⁸ მსგავს ვალდებულებას ადგენს ბავშვის უფლებათა კოდექსის 30-ე მუხლიც. ხოლო ტექნიკური რეგლამენტი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ⁹, განმარტავს, რომ არასრულწლოვანმა და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა იცოდნენ მომსახურების მიზანი, მის ფარგლებში შეთავაზებული სერვისები და მხარეთა უფლება-მოვალეობები, რათა ალტერნატიულ ზრუნვასთან დაკავშირებული საკითხი არასრულწლოვანთა ინფორმირებისა და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით გადაწყდეს. რეგლამენტის პირველი მუხლი კიდევ უფრო ფართოდ განიხილავს საკითხს და დეტალურად განსაზღვრავს, მათ შორის, იმ დოკუმენტაციას, რომელსაც ალტერნატიული ზრუნვის მიმწოდებელი დაწესებულება უნდა აწარმოებდეს.

ვიზიტისას მონიტორინგის ჯგუფი გაეცნო ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონის შინაგანაწესს, ლიცენზირების დამადასტურებელ დოკუმენტს, სააღმზრდელო პროგრამას, სადაც აღწერილია აღზრდის მეთოდიკა და დღის წესრიგი, ბავშვის სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან გაყვანის ჟურნალს, თანამშრომელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, არასრულწლოვანთა აზრის გამოხატვის საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების წერილობითი აღრიცხვის ჟურნალს, ძალადობის ფაქტების საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების წერილობითი აღრიცხვის ჟურნალს, უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს, ბენეფიციართა პირად საქმეებს, პანსიონატიდან ბავშვის გაყვანისა და შემოყვანის აღრიცხვის ჟურნალს, უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურების აღრიცხვის ჟურნალს.

პანსიონის შინაგანაწესი და აღსაზრდელთა დოკუმენტაცია

მონიტორინგის პროცესში, პანსიონატის შინაგანაწესის შესწავლისას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბენეფიციართა მხრიდან სოციალურად მიუღებელი ქცევების მართვის წესებსა და მეთოდებზე, უკუკავშირის და გაპროტესტების პროცედურებზე, კონფიდენციალობის დაცვის საკითხებზე, ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებულ წესებსა და თანამშრომლების, მოხალისეების, სტუდენტების ქცევის წესებზე. ასევე, შესწავლილ იქნა არასრულწლოვანთა პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაცია და შესაბამისი ჟურნალები.

⁸ Resolution adopted by the General Assembly, Guidelines for the Alternative Care of Children, Determination of the most appropriate form of care, 24 February 2010, ხელმისაწვდომია: <https://bettercarenetwork.org/sites/default/files/2021-03/GuidelinesAlternativeCareofChildrenEnglish.pdf> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი იანვრის №66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2198153?publication=5> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ პანსიონში ინახება ყველა აღსაზრდელის პირადი საქმე, თუმცა ეს საქმეები მხოლოდ ბავშვების დაბადების მოწმობებს, ჯანმრთელობის შესახებ ცნობას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და ხელშეკრულებას მოიცავს. პანსიონში არ აქვთ აღსაზრდელთა ინდივიდუალური განვითარების გეგმები და თანამშრომლებს არ აქვთ ინფორმაცია ამ დოკუმენტის შესახებ. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ პანსიონში მცხოვრები არასრულწლოვნების ინდივიდუალური განვითარების გეგმები არც სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში ინახება. სოციალურ მუშაკთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ინდივიდუალური განვითარების გეგმა თითოეული აღსაზრდელისთვის არც იწარმოება.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ პანსიონი აწარმოებს ბავშვების დაწესებულებიდან დროებით გაყვანისა და შემოყვანის ჟურნალს, პანსიონის თანამშრომლებს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსგან არ აქვთ ინფორმაცია, თუ ვინ მიიჩნევა აღსაზრდელის გაყვანასა და ნახვაზე უფლებამოსილ პირად. შესაბამისად, თუ ვინ გაიყვანს აღსაზრდელს, ან ისარგებლებს ბავშვის ნახვის უფლებით, დამოკიდებულია თავად პანსიონის გადაწყვეტილებაზე. ასეთი მიდგომა წარმოშობს რისკებს ბავშვების უსაფრთხოების, განსაკუთრებით, ბავშვების ძალადობისგან დაცვის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ **ბენეფიციართა მხრიდან სოციალურად მიუღებელი ქცევების მართვის წესებისა და მეთოდების** შესახებ შინაგანაწესში არის ქვეთავი „**ზრუნვა და კონტროლი**“, რომლის მიხედვითაც, *„აღსაზრდელთა სოციალურად მიუღებელი ქცევები, ემოციური გამოხატულებანი იზღუდება მხოლოდ ისეთი ხერხებითა და საშუალებებით, რომლებიც არ შეურაცხყოფს აღსაზრდელთა ღირსებას“*. თუმცა შინაგანაწესის ეს ჩანაწერი პრობლემურია და სოციალურად მიუღებელი ქცევის მართვის სტანდარტებს არ შეესაბამება. ჩანაწერი ძალიან ზოგადია, აქცენტს აკეთებს მხოლოდ შეზღუდვებზე და არ მიუთითებს იმ კონკრეტულ წესებსა და მეთოდებზე, რომლებიც ამ პროცესში უნდა გამოიყენებოდეს. გარდა ამისა, დოკუმენტი არც იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ შეზღუდვების პარალელურად ის არ უნდა იყოს ძალადობრივი.

უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურების საკითხი რეგულირდება დაწესებულების შინაგანაწესის ქვეთავით, **„პროტესტისა და უკუკავშირის გამოხატვის პროცედურები“**. თუმცა, ამის მიუხედავად, დაწესებულება არ აწარმოებს უკუკავშირისა და გაპროტესტების ჟურნალს. ხოლო, თავად შინაგანაწესით შემოთავაზებული პროტესტისა და უკუკავშირის გამოხატვის რეგულაცია პრობლემურია რამდენიმე საკითხთან მიმართებით. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანაწესი შეიცავს ჩანაწერს, რომელიც თანამშრომლებსა და აღსაზრდელებს აძლევს აზრის ანონიმურად გამოთქმის საშუალებას, დაწესებულებაში არ არსებობს ანონიმური ყუთი ან აზრის ანონიმურად გამოხატვის სხვა რაიმე მექანიზმი. გარდა ამისა, ჩანაწერის მიხედვით, დაწესებულების მიმართ შესული საჩივრის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ყოველი თვის ბოლოს და არ არის გათვალისწინებული მექანიზმი შესაძლო გადაუდებელი შემთხვევებისთვის, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებს. აღსანიშნავია ისიც, რომ შინაგანაწესში არ არის ჩანაწერი დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართ არსებული საჩივრის აღნუსხვისა და განხილვის შესახებ. ხოლო, უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები და მათი განხილვა ძირითადად

დაკავშირებულია მოძღვრის საათთან და ტამარში ბარათის სახით დატოვებულ წერილთან. ამასთანავე, ბუნდოვანია და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ხარვეზების შემცველი - შინაგანაწესში არსებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციის მიერ აღირიცხება უკუკავშირის ყველა გონივრული შემთხვევა.

კონფიდენციალობის დაცვის საკითხებს არეგულირებს შინაგანაწესში არსებული ქვეთავი „**კონფიდენციალობის დაცვა**“. აღსანიშნავია, რომ ჩანაწერის მიხედვით, დაწესებულებაში საუბრების კონფიდენციალობის დაცვის მიზნით გამოყოფილია სპეციალური ოთახი, კონკრეტულად, ფსიქოლოგის ოთახი. თუმცა, შენობის ფიზიკური გარემოს დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკაში ეს ჩანაწერი ვერ სრულდება, რადგან უშუალოდ პანსიონატში ფსიქოლოგის ოთახი გამოყოფილი არ არის, ფსიქოლოგიც, მხოლოდ მიმდინარე წელს აიყვანეს დაწესებულებაში. თუმცა, ის მხოლოდ პანსიონატის სკოლის კადრია და არა უშუალოდ დაწესებულებისა. შესაბამისად, მისი როლი უშუალოდ დაწესებულებაში არსებულ საქმიანობაში ჩართვასთან დაკავშირებით, დეტალურად არ არის განსაზღვრული.

ყურადსაღებია, რომ COVID-19-ის პანდემიის პირობებში, შინაგანაწესში არ შეუტანიათ ცვლილებები, რომლებიც დაწესებულების ტერიტორიაზე პანდემიის ეფექტიან მართვას უზრუნველყოფდა.

დაწესებულების თანამშრომელთა ქცევასა და ვალდებულებებს არეგულირებს შინაგანაწესის თავი „**თანამშრომლების, მოხალისეების, სტუდენტების ქცევის წესები**“. თუმცა შინაგანაწესში არ გვხვდება ჩანაწერი სტუდენტების ან მოხალისეების შესახებ. ხოლო ინფორმაცია თანამშრომლებთან დაკავშირებით, გაბნეულია სხვადასხვა ქვეთავში და უმეტესად, საუბარია დარღვევებზე რეაგირების ფორმებზე, რომელთა ნაწილიც დაზუსტებასა და განმარტებას საჭიროებს. მაგალითად, შინაგანაწესში გვხვდება ჩანაწერი, სადაც საუბარია თანამშრომლის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯაზე, 10 წელს მიღწეული აღსაზრდელის სიტყვიერი ან წერილობითი თანხმობის გარეშე ინფორმაციის გაცემაზე. თუმცა, ბუნდოვანია, სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით დასჯას გულისხმობს ამ შემთხვევაში დაწესებულება.

შინაგანაწესი თანამშრომლებს ძალადობის ფაქტების შესახებ ადმინისტრაციის ინფორმირებას ავალდებულებს. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში მოქმედებს შეზღუდვები ჩაცმასთან დაკავშირებით. კერძოდ, შინაგანაწესის მიხედვით, დაუშვებელია არასათანადო, გამომწვევი ჩაცმულობა, უცენზურო/მიუღებელი ფორმით აზრისა და შეხედულების გამოხატვა. თუმცა, ჩანაწერი არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს არასათანადო, გამომწვევი ჩაცმულობა და საკითხის ინტერპრეტაციისა და ფართო განმარტების შესაძლებლობას იძლევა.

შინაგანაწესით განსაზღვრული დამატებითი საკითხების თავის თანახმად, აღსაზრდელები უზრუნველყოფილები უნდა იყვნენ სოფელში გასვლა-გასეირნებით. თუმცა, ბავშვებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ეს ჩანაწერი მხოლოდ სეზონურად დასასვენებლად წაყვანით შემოიფარგლება. ხელი არ ეწყობა ბავშვების სოციალიზაციას, მათ შორის, სოფელში მცხოვრებ თანატოლებთან ურთიერთობის კუთხით.

პრობლემურია ასევე, ქცევის მართვის ქვეთავში განთავსებული ინფორმაცია, რომელიც აღსაზრდელთა ქცევის მართვის ერთ-ერთ სტრატეგიად ბავშვისათვის გარკვეულ შეზღუდვებს განსაზღვრავს. მართალია, ნაწილობრივ დაკონკრეტებულია, რას გულისხმობს ეს შეზღუდვა, მაგალითად, საყვარელი საქმიანობის შეზღუდვას. თუმცა ჩანაწერი ასევე მოიცავს ზოგად მითითებას, რომელიც ასეთ შემთხვევებში, აღმზრდელს აძლევს სხვა სახის შეზღუდვების გამოყენების უფლებასაც და არ აკონკრეტებს, რა იგულისხმება სხვა სახის შეზღუდვებში, რაც გარკვეულწილად, მრავალმხრივი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა.

3. შენობის ფიზიკური გარემო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების თანახმად, აუცილებელია, არასრულწლოვანთა საცხოვრებელი გარემო მათთვის უსაფრთხო იყოს და აკმაყოფილებდეს მათი სრულფასოვანი ზრდისა და განვითარებისთვის საჭირო პირობებს.¹⁰ ამასთანავე, ტექნიკური რეგლამენტის - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მიხედვით, ბავშვზე ზრუნვა უნდა ხორციელდებოდეს გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა დასვენება და გაჯანსაღება (სტანდარტი №7), დაცულია მათი უსაფრთხოება და დაწესებულების სანიტარიული მდგომარეობა (სტანდარტი №15), შექმნილია ბენეფიციარზე ორიენტირებული გარემო (სტანდარტი №14).

მონიტორინგის პროცესში შენობის ვიზუალურმა დათვალიერებამ აჩვენა, რომ დაწესებულების ფიზიკური გარემო მოწესრიგებულია და გარემონტებული. თუმცა ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ საჭიროებებს. მათ შორის, შენობაში არ არის დამონტაჟებული ლიფტი. ხოლო ეტლით მოსარგებლე პირთა დაწესებულებაში შესვლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია მხოლოდ რკინის მოძრავი პანდუსი. შესაბამისად, უშუალოდ შენობის შიდა პერიმეტრი არ არის ადაპტირებული და ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს.¹¹ აღსანიშნავია, რომ შენობის მე-3 სართულზე განთავსებულია სკოლა. ამასთანავე, პანსიონის ეზო საჭიროებს ბავშვების გართობისა და დასვენებისათვის განკუთვნილი ინვეტარით აღჭურვას და შესაბამის მოწყობას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების შენობაში არის საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათება და ცენტრალიზებული გათბობის სისტემა.¹² უზრუნველყოფილია ერთ ბავშვზე საკმარისი ფართობი და დაცულია სანიტარიული ნორმები. სათანადოდ ფუნქციონირებს ელექტროენერჯის,

¹⁰ Resolution adopted by the General Assembly, Guidelines for the Alternative Care of Children, General conditions applying to all forms of formal alternative care arrangements, 24 February 2010, ხელმისაწვდომია: <https://bettercarenetwork.org/sites/default/files/2021-03/GuidelinesAlternativeCareofChildrenEnglish.pdf> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

¹¹ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში ამჟამად არ ირიცხება ეტლით მოსარგებლე ან სხვა მსგავსი საჭიროებების მქონე აღსაზრდელი.

¹² კედლებზე უკონტაქტო თერმომეტრი არ იყო განთავსებული.

წყალმომარაგების, კანალიზაციის, ხელოვნური ვენტილაციის, ხანძარუსაფრთხოებისა და გათბობის სისტემები.

შენობის პერიმეტრზე ხელმისაწვდომია ინტერნეტი, თუმცა არ არის დამოუკიდებელი ტელეფონი, რომლითაც ისარგებლებდნენ აღსაზრდელები. საჭიროების შემთხვევაში, ბავშვებმა უნდა მიმართონ აღმზრდელს, დაწესებულების სხვა თანამშრომელს ან სხვა აღსაზრდელს, რომელსაც აქვს ტელეფონი.

ამასთანავე, შენობის სივრცეში არ არის საჯაროდ გამოკრული ინფორმაცია, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტით გათვალისწინებული, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული უწყებებისა და მათი ცხელი ხაზების შესახებ.

საძინებელი და მოსასვენებელი სივრცე

პანსიონის შენობის სართულებზე ბავშვები სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით არიან გადანაწილებულნი. თითოეულ ჯგუფს, რომელშიც მაქსიმუმ 7 ბავშვია, აქვს 2 საძინებელი. საძინებელში განთავსებულია ორსართულიანი და ერთმანეთთან დაკავშირებული საწოლები. ყველა ოთახში არის ბუნებრივი და ხელოვნური განათება. საძინებლებში, როგორც წესი, განთავსებულია ერთი მაგიდა, თუმცა, არა ყველგან. საძინებელში არის კარადა, სადაც ბავშვებს განაწილებული აქვთ თაროები და საკიდები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საძინებელში არის ტელევიზორი, კომპიუტერი და სველი წერტილი, თუმცა ყველგან არა. საძინებლებს შორის ამგვარი განსხვავება რაიმე წესით არ რეგულირდება და ამ განსხვავებას, გარკვეულწილად, აღსაზრდელთა უფროსი ასაკით ხსნიან.

თითოეულ ჯგუფს ჰყავს თავისი აღმზრდელი, რომელიც დამის ცვლის დროს იძინებს ერთ-ერთ საძინებელ ოთახში, ბავშვებთან ერთად. ამის მიზეზად დასახელდა აღსაზრდელების სურვილი, მათი ასაკი და დასახელებული გარემოება, რომ ბავშვებს უჭირთ ღამე დაძინება. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას, 14-15 წლის არასრულწლოვნების საძინებელ ოთახში აღმზრდელის მოთავსების საფუძვლად იგივე არგუმენტი დასახელდა. თუმცა საუბრისას ერთ-ერთმა აღსაზრდელმა განაცხადა, რომ მათ სურვილზე არ არის დამოკიდებული, აღმზრდელი მათ ოთახში დაიძინებს თუ მათგან განცალკევებულად.

დაწესებულებაში არის 7 მოსასვენებელი ოთახი, საშუალოდ, 2 ჯგუფისთვის საერთო მოსასვენებელი ოთახი, სადაც განთავსებულია ტელევიზორი, კომპიუტერი და მოსასვენებელი ავეჯი. შენობას აქვს ბავშვებისთვის საერთო მოხმარების ფართი, რომელიც მოიცავს სივრცეებს სხვადასხვა აქტივობისთვის. მათ შორისაა დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვადასხვა მუსიკალური და სახელოვნებო წრეების ოთახები.¹³

მცირეწლოვნების შემთხვევაში, ჯგუფის ყველა აღსაზრდელი აღმზრდელთან ერთად, ერთ ოთახში იძინებს. ამ ჯგუფებსაც აქვთ განცალკევებით მოსასვენებელი და გასართობი ოთახი, სადაც განთავსებულია ტელევიზორი, მოსასვენებელი ინვენტარი და სათამაშოები. როგორც წესი,

¹³ მუსიკალური ბენდის ოთახი, თექასა და მოზაიკაზე სამუშაო ოთახები, ჭადრაკის სივრცე, მინანქარსა და გობელენზე სამუშაო ოთახები.

საძინებლების ავეჯი შეესაბამება ბავშვების ასაკობრივ ჯგუფს. თუმცა, ერთ-ერთ 4-5 წლის აღსაზრდელთა ჯგუფში ბავშვებს ჩვილებისთვის განკუთვნილ საწოლებში ეძინათ. შენობაში არის საერთო კარადები და ფეხსაცმლის თაროები, რომელშიც იმ სართულზე მცხოვრები ბავშვები ინახავენ „საგარეო“ ფეხსაცმელს და სამოსს. სველი წერტილები არ არის მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე.

სველი წერტილები და სანიტარია-ჰიგიენა

თითოეულ ჯგუფზე გამოყოფილია 1 სველი წერტილი. სანიტარიული ობიექტები მოქმედი, ტექნიკურად გამართული და სუფთაა. სანიტარიულ კვანძებში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები. სპეციალურ კარადაში თავდახურულ მდგომარეობაში ინახება დაბალი ასაკობრივი ჯგუფის კბილის ჯაგრისები. სანიტარიული კვანძები იზოლირებულია და დაყოფილია სქესის მიხედვით. სათანადოდ ფუნქციონირებს სავენტილაციო და წყალჩამრეცხი სისტემა. 7 ბენეფიციარისთვის გამოყოფილია ერთი საშხაპე, პირსაბანი (ცივი/ცხელი წყლით). თუმცა დაწესებულებაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილები.

ჰიგიენური საშუალებების მარაგი ყოველთვიურად ივსება. თუმცა პირადი ჰიგიენის საშუალებების საჭიროებისას, აღსაზრდელებმა, ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში, ექთანს უნდა მიმართონ.

მონიტორინგისას შენობაში სისუფთავე იყო. დაწესებულების მთელი პერიმეტრი დღეში სამჯერ, თანამშრომელთა მორიგეობის ცვლისას სუფთავდება. დაწესებულებას აქვს სპეციალური სადეზინფექციო და დასუფთავების საშუალებები, რომელსაც ინახავენ შესაბამისად მოწყობილ, იზოლირებულ საწყობებში, რომლებიც ნიავდება. სადეზინფექციო საშუალებებს ექთანი აზავებს, მაგრამ დეზინფიცირების ჩატარება მხოლოდ სამზარეულოში აღირიცხება. სამზარეულოსა და სასადილო ოთახებში განთავსებული იყო სადეზინფექციო საშუალება.

3.1. შენობის ფიზიკური გარემო და კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციები

სააღმზრდელი საქმიანობის გამწევი დაწესებულება ვალდებულია, დაიცვას ბავშვთა 24 საათიანი ზრუნვის დაწესებულებებისთვის (მათ შორის, დედათა და ბავშვთა თავშესაფარი) ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და კონტროლის სტანდარტები,¹⁴ რომლებიც შემუშავებულია ხანგრძლივი ზრუნვის დაწესებულებებში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და კონტროლის მიზნით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებზე

¹⁴ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №01-537/ო, ბავშვთა 24 საათიანი ზრუნვის დაწესებულებებისთვის (მათ შორის, დედათა და ბავშვთა თავშესაფარი) ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და კონტროლის სტანდარტების დამტკიცების შესახებ. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.moh.gov.ge/uploads/publicinformation/2020/11/10/1d2549dc2c7ccfb2411d07ddc97eb1b7.pdf> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

დაყრდნობით. ეს სტანდარტები გულისხმობს დაწესებულებაში სანიტარიულ სამუშაოებს, დისტანციის დაცვას, საიზოლაციო ოთახის გამოყოფასა და ტესტირების ვადების საკითხებს.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში, კოვიდ 19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით არსებული რეგულაციები, სათანადოდ არ სრულდება. პანსიონში შესვლისას არ მიმდინარეობს თერმოსკრინინგი,¹⁵ ბავშვთა სივრცეებში განთავსებული არ არის დისტანციის დაცვის სტიკერები, ასევე, დეზობარიერები ყველა საჭირო მონაკვეთზე, პერსონალი კი არ ატარებს პირბადეს. კოვიდ 19-თან დაკავშირებული მასალები თვალსაჩინოდ არ არის გამოკრული შესაბამის დაფებზე, საერთო სივრცეებში.

თავის მხრივ, დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მარაგი, რომელსაც განკარგავს სამეურნეო ნაწილის გამგე. სადეზინფექციო საშუალებებით პანსიონს ამარაგებს ჯანდაცვის სამინისტრო. დეზინფექცია ტარდება ყოველდღიურად, „ქლორამინით“, როგორც ზოგადი, ისე ლოკალური წესით. დაწესებულების პერსონალი 2 კვირაში ერთხელ სწრაფი ტესტით გადის კოვიდ ინფიცირების შესახებ ტესტირებას. გასაუბრებით გაირკვა, რომ ადგილი ჰქონდა პერსონალისა და ბენეფიციარების ინფიცირების შემთხვევებს. აღსანიშნავია, რომ კოვიდ 19-ით ინფიცირების შემთხვევების გამოვლენის პერიოდში ცალკე ირეცხებოდა ინფიცირებულთა ტანსაცმელი და თეთრეული.

პანსიონში იზოლირებისთვის გამოყოფილია ერთი ოთახი, სადაც განთავსებულია ორი საწოლი. თუმცა ოთახს არ აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი, უკავშირდება ექთნის ოთახს და არ აქვს ინდივიდუალური სველი წერტილი.

4. კვება

საადმინისტრაციო დაწესებულებაში, აუცილებელია არასრულწლოვანთა სრულფასოვანი კვების უზრუნველყოფა, რომელიც ორიენტირებული იქნება ბავშვების სრულფასოვან ზრდასა და განვითარებაზე.¹⁶ დაწესებულებამ თითოეულ ბენეფიციარს უნდა შესთავაზოს საჭიროებებზე მორგებული, სრულფასოვანი, ჯანსაღი და შესაბამისი ნუტრიციული ღირებულების საკვები. ამასთანავე, აუცილებელია ბენეფიციარების კვებითი თავისებურებების, ასაკობრივი ჯგუფისა და მათი მოთხოვნილებების გათვალისწინება (სტანდარტი №6).

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებისას, თანამშრომლებთან გასაუბრებისას და დოკუმენტაციის გაცნობისას გამოვლინდა, რომ პანსიონში არსებობს წინასწარ შემუშავებული მენიუ, რომელიც იცვლება 3 დღეში ერთხელ. მენიუს შედგენაში ჩართულია 2 პედიატრი და მთავარი

¹⁵ პანსიონში იყო მხოლოდ ძველი პერიოდის თერმოსკრინინგის ჟურნალი.

¹⁶ Resolution adopted by the General Assembly, Guidelines for the Alternative Care of Children, General conditions applying to all forms of formal alternative care arrangements, 24 February 2010, ხელმისაწვდომია: <https://bettercarenetwork.org/sites/default/files/2021-03/GuidelinesAlternativeCareofChildrenEnglish.pdf> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

ექთანი, ხოლო კვების კარტოთეკას აწარმოებენ ელექტრონულად.¹⁷ კვება არის ოთხჯერადი, მათგან ერთი სამკომპონენტო სადილი. დაწესებულებაში აღირიცხება პროდუქტების ვარგისიანობა, მიღების თარიღი და ოდენობა, რაზეც პასუხისმგებელია ექთანი. წყლის ვარგისიანობა წელიწადში ორჯერ მოწმდება.

კვების ბლოკში დასაქმებული პერსონალი მუშაობს 2 ცვლაში. სამზარეულოში დასაქმებულია 10 მზარეული, 2 თანაშემწე, ჭურჭლის მრეცხავი და დამლაგებელი. ყოველდღიურად მუშაობენ 5 მზარეული და თანაშემწე, მრეცხავი და დამლაგებელი, რომელიც ცალკე ჰყავს სამზარეულოს. სამზარეულო ოთახში არის გამწოვი, თბილი წყალი, შესაბამისი დანადგარები, ტექნიკა და ჭურჭელი. დაცულია წვრილი ჭურჭლის და ქვაბების შენახვის წესი. განცალკევებულია დაფები, თუმცა ერთად ინახება, დახურულ უჯრაში.

პროდუქტის მიღებასა და განთავსებაზე პასუხისმგებელია სამნეო ნაწილის ხელმძღვანელი. საკვების სახით ასევე იღებენ შემოწირულობებს, რომლებიც შესაბამისად აღირიცხება. მალფუჭებადი საკვები ახლდება 3 დღეში ერთხელ, ხოლო არა-მალფუჭებადი თვეში ერთხელ. უშუალოდ სამზარეულოს უკავშირდება ერთ-ერთი სათავსო, რომელსაც არ აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი. სათავსო უზრუნველყოფილია ორი ბადიანი ფანჯრით და ვენტილაციით. თუმცა, პროდუქტი, მათ შორის, ხილი და ბურღულეული იატაკზე აწყვია. მაცივრებსა და საყინულეში პროდუქტები შესაბამისი წესის დაცვით, განცალკევებით არის განთავსებული.

სამზარეულო დღეში რამდენჯერმე სუფთავდება. ოთახში არის ფანჯარა დამცავი ბადით და ვენტილაციით. სამზარეულოს შესასვლელში გამოყოფილია პერსონალის საკვები ადგილი. სამზარეულოს პერსონალს ეცვა წესების დაცვით, მათ შორის, ეცვათ ხალათი, ეკეთათ ხელთათმანი და ეხურათ ქუდი.

აკრძალულია საკვების ოთახებში შეტანა და მოგვიანებით ჭამა.¹⁸ აქვე უნდა ითქვას, რომ ბავშვების თქმით, იმარხულებენ თუ არა, ეს მათ სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა ოთხშაბათობითა და პარასკეობით, ყველასთვის მხოლოდ სამარხვო საკვები მზადდება. დაწესებულებაში, ერთი არასრულწლოვნისთვის, რომელსაც ჭარბი წონა აწუხებს, ენდოკრინოლოგის დანიშნულებით, შემუშავებულია ცალკე მენიუ.

პანსიონის თანამშრომლებს, კვების ბლოკის პერსონალს, ექთანსა და სამნეო ნაწილის მენეჯერს კვებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ტრენინგებს უტარებს სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელმაც წინა წელს შეამოწმა დაწესებულება.

საკვები ნარჩენები გროვდება დახურულ კონტეინერში და ყოველი კვების შემდგომ, ხდება მათი დაწესებულების გარეთ არსებულ ურნაში განთავსება. ურნა შესაბამისი სამსახურის მიერ ყოველ მეორე დღეს იცლება.

¹⁷ დოკუმენტაციის გაცნობისას გამოიკვეთა, რომ ჩანაწერებში წარმოების თარიღი და აღსაზრდელთა რაოდენობა არასწორად იყო მითითებული.

¹⁸ ერთ-ერთმა აღსაზრდელმა აღნიშნა, რომ თუ შუალედებში ან გვიან მოგვიდებოდა, უნდა მოითმინო.

5. ჯანმრთელობის დაცვა

საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სააღმზრდელო საქმიანობის გამწევი დაწესებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა ბენეფიციარების ჯანმრთელობის დაცვა და, ამ მხრივ, მათ წინაშე არსებული საჭიროებების უზრუნველყოფა.¹⁹ აუცილებელია, დაწესებულებაში, სადაც ბავშვები იზრდებიან, შექმნილი იყოს მათი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო, დამკვიდრდეს ცხოვრების ჯანსაღი წესი, უზრუნველყოფილი იყოს იმუნიზაცია და რუტინული პროფილაქტიკური შემოწმება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ბენეფიციართა ინფორმირება პირადი ჰიგიენის, სქესობრივი განათლების, სხვადასხვა დაავადებისა და მავნე ნივთიერებების გამოყენების მოსალოდნელი შედეგების შესახებ (სტანდარტი №9).²⁰

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ პანსიონში დასაქმებულია 4 ექთანი, რომელთაგან ერთი მუდმივად იმყოფება პანსიონში. დაწესებულებას ემსახურება 3 ექიმი.

ექთნები აკვირდებიან ყველა ჩარიცხული ბავშვის აცრების ჩატარების გრაფიკს და ზედამხედველობენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ჩარიცხულ ბენეფიციარებს უნდა ჰქონდეთ ფორმა №IV-100/ა, თუმცა, როდესაც ცნობის გარეშე ბავშვი, დაწესებულებაში ჩარიცხვამდე ექიმი ნახულობს მას, აფასებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას და ბავშვი პანსიონში მხოლოდ ამის საფუძველზე ირიცხება.

გამოიკვეთა ხარვეზები აღსაზრდელების სამედიცინო დოკუმენტაციის არასისტემატიზებულიობის კუთხით. კერძოდ, ყველა ბავშვის ინდივიდუალური განვითარების ბარათებში არ იწინააღმდეგება ბავშვების ჯანმრთელობის ცნობები, მათთვის გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და დანიშნული მკურნალობის ამსახველი დოკუმენტაცია. ექთნის გადმოცემით, ეს დოკუმენტები იმ პოლიკლინიკის ექიმიდან იწინააღმდეგება, რომელთანაც ბავშვები ირიცხებიან.²¹ ზოგჯერ ასლები მოაქვთ ექთნებს და შიდა მოხმარებისთვის იწინააღმდეგება. პანსიონში დაცული სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობით გაირკვა, რომ ზოგიერთი კონსულტაციის ფურცელი საკმაოდ ძველია,²² აქვთ მხოლოდ იმ კონკრეტული ბავშვების დოკუმენტაცია, რომლებსაც შესაბამისი სამედიცინო მომსახურება დასჭირდათ, მას კი ექთანი საკუთარი ინიციატივით აწარმოებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დაწესებულებას, ამ კუთხით, არ

¹⁹ Resolution adopted by the General Assembly, Guidelines for the Alternative Care of Children, General conditions applying to all forms of formal alternative care arrangements, 24 February 2010, ხელმისაწვდომია: <https://bettercarenetwork.org/sites/default/files/2021-03/GuidelinesAlternativeCareofChildrenEnglish.pdf> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021]

²⁰ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი იანვრის N66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ“ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2198153?publication=5> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021]

²¹ ბათუმის ბავშვთა პოლიკლინიკა. ექთნის გადმოცემით, საჭიროების შემთხვევაში ხდება მოთხოვნის გაგზავნა ექიმისთვის და დოკუმენტაციის ამ ფორმით მიღება,

²² ექთნის გადმოცემით, ბოლოდროინდელი კონსულტაციის ფორმები უბრალოდ ადგილზე არ აქვთ, თორემ ზოგადად არსებობს.

აქვს შიდა რეგულაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ გასაუბრების დროს სამედიცინო პერსონალი საგანგებოდ მიუთითებდა იმაზე, რომ „არაჯანმრთელი“ ბავშვები არ ჰყავთ.²³

მედიკამენტური საშუალებების შექმნასა და შენახვაზე პასუხისმგებელია ექთანი. თუმცა, უარყოფითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას არ აქვს შიდა რეგულაცია წამლების აღრიცხვის შესახებ და შესაბამის ჟურნალს ექთანი ასევე საკუთარი ინიციატივით აწარმოებს. წამლები ინახება ექთნის ოთახში, შესაბამისად გამოყოფილ ადგილას. ფსიქოტროპული მედიკამენტები ინახება განცალკევებით, დალუქულ ადგილას. დაცულია იმ მედიკამენტების შენახვის წესი, რომლებსაც ბავშვები, ექიმის მითითებით, რეგულარულად იღებენ. პანსიონში ადგილზე იყო საოჯახო სამედიცინო ინვენტარიც. ამასთანავე, ექთანი აწარმოებს უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს,²⁴ რომელშიც 2021 წელს მხოლოდ 1 შემთხვევა იყო რეგისტრირებული, ხოლო ინფექციური დაავადებების ჟურნალში, ბოლო ჩანაწერი 2014 წელს გაკეთდა.

კოვიდინფიცირებულების შესახებ ჟურნალს აწარმოებენ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ფორმაში, ელექტრონულად და უგზავნიან სამინისტროს. პანდემიის პერიოდში ბავშვებს სიცხეს ყოველდღიურად უმოწმებდნენ და აწარმოებდნენ შესაბამის ჟურნალს. ამჟამად, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში უზომავენ, ჟურნალს კი არ აწარმოებენ. როგორც პანსიონის თანამშრომლებს, ისე ბავშვებს, 2 კვირაში ერთხელ უტარდებათ ტესტირება.

პანსიონს ხელშეკრულება აქვს დადებული აფთიაქთან და ორ სტომატოლოგიურ კლინიკასთან, ხოლო სამედიცინო დაწესებულებები, პანსიონის ექთნის გადმოცემით, ქალაქში ბევრია და, ამ მხრივ, ხელმისაწვდომობის პრობლემა არ შექმნიათ. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვები ყოველწლიურად იცრებიან გრიპის ვირუსზე. თუმცა, გამოწვევად რჩება, და დაწესებულების თანამშრომელთა გადმოცემით, საერთოდ არ მიმდინარეობს ბავშვების რუტინული პროფილაქტიკური შემოწმება. ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში მხოლოდ კონკრეტული საჭიროების შემთხვევაში მიჰყავთ.

რაც შეეხება ბენეფიციართა სექსუალურ განათლებას და მავნე ნივთიერებების მიღების შედეგების შესახებ მათ ინფორმირებას, დაწესებულების თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ გოგო აღსაზრდელებთან გინეკოლოგი, ხოლო ბიჭებთან უროლოგი ჰყავდათ მოწვეული, რომლებიც, ბავშვებს, რომლებსაც ამ თემაზე ინფორმაციის მიღების სურვილი ჰქონდათ, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ესაუბრნენ. მავნე ნივთიერებების მიღების შედეგების შესახებ არასრულწლოვნებს მოძღვარი ესაუბრება.

²³ ექთნის გადმოცემით, „ავადმყოფ“ ბავშვებს არ იღებენ, რადგან სხვა ტიპური განვითარების ბავშვები მათ დასცინებენ და ბულინგის მსხვერპლები გახდებიან. ასევე აღნიშნა, რომ ჰყავთ 2 შშმ ბავშვი, თუმცა ისინი დაბადებიდან იქ არიან და ამიტომ არ წარმოქმნილა ამ კუთხით პრაქტიკაში პრობლემები.

²⁴ უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე წერილობით არ აღირიცხება ძალადობის ფაქტების საპასუხოდ გატარებული ღონისძიებები.

მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემისა და რთული ქცევის გამო ადგილი ჰქონდა ბავშვის გარიცხვის ერთ შემთხვევას.²⁵ მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა სტატუსის დადგენის მიზნით, პროცესის შემდგომი წარმართვა. კერძოდ, დაწესებულებაში ირიცხება ორი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე აღსაზრდელი, ერთი ჰიპერაქტიურობის დიაგნოზით,²⁶ მეორე კი - ქცევითი აშლილობით,²⁷ თუმცა სტატუსის დადგენის შესაძლებლობის საკითხი დღის წესრიგში არცერთის შემთხვევაში არ დამდგარა. ამ კუთხით სოციალური მუშაკების ჩართულობა არადაამაკმაყოფილებელია.

ექთნებს და მიძებს გავლილი აქვთ გადამზადება პირველადი დახმარების გაწევის საკითხებში, თუმცა უექიმოდ მაინც ერიდებიან პასუხისმგებლობის აღებას და იძახებენ სასწრაფოს, რომელსაც მისასვლელად მაქსიმუმ 15 წუთი სჭირდება.

6. ძალადობისგან დაცვა

საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობა ადგენს ბავშვების ძალადობისგან დაცვის სტანდარტებს. აუცილებელია, არასრულწლოვანი დაცული იყოს ყველა სახის ძალადობისგან. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია სააღმზრდელო საქმიანობის გამწევი დაწესებულების ვალდებულება, იხელმძღვანელოს ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობით, ჰქონდეს შემუშავებული ძალადობისგან დაცვის შიდა რეგულაციები, წერილობით აწარმოოს ჟურნალები, როგორც დაწესებულებაში მომხდარი ძალადობის შემთხვევების, ისე მათზე რეაგირების მიზნით განხორციელებული ქმედებების შესახებ (სტანდარტი №11). ამასთანავე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვთა სარეაბილიტაციო და მხარდამჭერი სერვისების უზრუნველყოფა.

გაპროტესტება და უკუკავშირი

პანსიონში არ არსებობს გაპროტესტებისა და უკუკავშირის კონკრეტული წესი. ბავშვები, ვისაც მხარდამჭერად აღიქვამენ, მას სთხოვენ დახმარებას. არასრულწლოვანების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მიმართავდა აღმზრდელს, შემდგომ მოძღვარს, ბოლოს კი, დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელსაც, მათი თქმით, ყველაზე მეტად ენდობიან. ამას ადასტურებენ პანსიონის თანამშრომლებიც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ძალადობისა და უკუკავშირისთვის დაწესებულებაში ფორმალურად გაწერილი პროცედურა არ არსებობს. მათი

²⁵ აღსაზრდელს აღენიშნებოდა ქცევითი და კვებითი აშლილობა, აზიანებდა სხვებს და მიმართავდა თვითდაზიანებას. მისი ქცევის მართვას ადგილზე ვერ ახერხებდნენ და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სტაციონარში გადაყვანის მიზნით, იძახებდნენ სასწრაფო დახმარებას. მას, ადგილზე, ექიმის რეკომენდაციით არაერთხელ გაუკეთდა ინექცია (დიაზეპამი 5 მლ), ასევე, მამაკაცმა აღმზრდელმა რამდენჯერმე გააკავეს.

²⁶ თევდორე დოლბაია - კონსულტაცია ჩაუტარდა ბავშვთა და ზრდასრულთა ექიმ-ფსიქიატრის მიერ და დაუდგინდა ჰიპერაქტიურობის სინდრომი. დაენიშნა „ატარაქსი“ და ნოოტროპული საშუალება „გლისაიტი“.

²⁷ გიორგი სეიდოვი - კონსულტაცია ჩაუტარდა №5 კლინიკურ საავადმყოფოში, ანა ჭუმბურიძის მიერ. დაუდგინდა სხვა ქცევითი აშლილობა F91.8. დაენიშნა „ტრუქსალი“ და „კარბამაზეპინი“.

განცხადებით, პრობლემის შემთხვევაში, ბავშვები ფსიქოლოგთან²⁸ ან მოძღვართან მიდიან. თუმცა, თუ პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა, ბავშვები თავადაც მიმართავენ დაწესებულების ხელმძღვანელს. განსაკუთრებით მწვავედ დგას სოციალურ მუშაკთან კომუნიკაციის უქონლობის საკითხი. ბენეფიციართა ნაწილს არც აქვს ინფორმაცია, ვინ არის მისი სოციალური მუშაკი.

ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ძალადობის ფაქტების აღმოჩენისა და შემთხვევებზე რეაგირების აღსარიცხად რამდენიმე ჟურნალი აქვს. თუმცა არცერთი ეს ჟურნალი არ არის შევსებული. შენობაში ასევე არ არის გამოკრული ცხელი ხაზის ნომრები. ხოლო გასაუბრებისას, რამდენიმე ბავშვმა, მხოლოდ „112“-ის დასახელება შეძლო. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირია მოძღვარი. ამასთანავე, დაწესებულების თანამშრომლებს, სახელმწიფოს მხრიდან, 2015 წლის შემდეგ არავითარი გადამხადება არ გაუვლიათ, მათ შორის, არც ძალადობის საკითხებზე.

ძალადობისგან დაცვის თემაზე ბენეფიციარებს გაკვეთილის - მოძღვრის საათის ფარგლებში ესაუბრებიან. როგორც ერთ-ერთმა ბავშვმა აღნიშნა, სკოლაში „ცხელი ხაზის“ ნომერი დაურეგეს და უთხრეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დაერეკათ, როგორც კი ძალადობას შენიშნავდნენ, თუმცა გოგონას თქმით - „ჩვენ ყველამ გადავყარეთ და ჩავთვალეთ ლადაობად“.

საგულისხმოა, რომ ბავშვები საუბრისას ცდილობდნენ განსაკუთრებული აქცენტი გაეკეთებინათ იმაზე, რომ დაწესებულებაში ძალადობა არ ხდება და მომუშავე პერსონალი მათ კარგად ეპყრობა. გარკვეულ შემთხვევებში, როცა სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ დასმული კითხვა განსხვავებული შინაარსის იყო, ბავშვები მაინც ცდილობდნენ, ესაუბრათ დაწესებულებაში არსებული არამძალადობრივი გარემოს შესახებ. ერთ-ერთმა ბენეფიციარმა აღნიშნა, რომ არ სჭირდება იმის ცოდნა, თუ ვის უნდა მიმართოს დასახმარებლად ძალადობის დროს. მისი თქმით, ამ შემთხვევაში, შეუძლია, ხელმძღვანელს დაელაპარაკოს, სოციალურ მუშაკს დაურეკოს. როგორც საუბრისას გაირკვა, არასრულწლოვანმა იცოდა, რომ „112“-ზე დარეკვით, მხოლოდ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახება შეიძლებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული ბავშვები ცალსახად უარყოფდნენ დაწესებულებაში რაიმე ფორმით ძალადობას, შედარებით გახსნილად საუბრობდნენ დასჯის ფორმებზე, რომლებიც აღმზრდელების მხრიდან გამოიყენება. მაგალითად, კუთხეში დაყენებაზე, ოთახში შესვლის დავალებულებაზე, ვიდრე ბავშვი აღმზრდელს ბოდიშს არ მოუხდის, თუმცა, ეს მეთოდი, ძირითადად, მცირეწლოვან ბავშვებში გამოიყენება. ბავშვების ინფორმაციით, მცირეწლოვნობისას, აღმზრდელები უყვიროდნენ და საჯდომზე წამორტყმის პრაქტიკასაც მიმართავდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის ფაქტებზე საუბრისას ბავშვები აუცილებლად აღნიშნავენ, რომ მათთვის მისაღებია ასეთი მოპყრობა. ერთ-ერთი მაღლობელიც იყო ამგვარი მოპყრობის გამო და

²⁸ იშვიათად, მაგრამ მაინც დაიწყეს ფსიქოლოგთან კომუნიკაცია, მას შემდეგ, რაც დაწესებულებაში 2020 წლის თებერვლიდან გაჩნდა ფსიქოლოგის კადრი.

ამბობდა, რომ მისთვის სამაგალითო იყო დასჯა. ამავე ბავშვმა აღნიშნა, რომ როდესაც ბრაზდება, კანკალი ეწყება და სწორედ ამ დროს უყვირის აღმზრდელი.

აღსანიშნავია, რომ პანსიონში 3 რთული ქცევის მქონე ბავშვია, 2 კი, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის გამო, მედიკამენტოზურ მკურნალობას გადის. თუმცა, რთული ქცევის მართვის, შემთხვევათა გამწვავების პრევენციის, მასზე რეაგირების შესახებ გადამზადება დაწესებულების თანამშრომლებს 2015 წლის შემდგომ არ გაუვლიათ. პანსიონის სკოლის ფსიქოლოგის თქმით, მის ფუნქციებში შედის კრიზისულ სიტუაციაში ჩართვა და რეაგირება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მუშაობა. თუმცა, ქცევის მართვის ინდივიდუალური გეგმა, შემუშავებული არ არის. კონფლიქტურ შემთხვევებზე რეაგირების ერთ-ერთი ფორმა, ბავშვების თქმითაც, სწორედ ფსიქოლოგთან კონსულტაციაა, რომელსაც, როგორც საკუთარი სურვილით, ისე, ფსიქოლოგის ინიციატივითაც, გადიან.

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ დაწესებულებაში არ არის სისტემატიზებული და წინასწარ განსაზღვრული სამოქმედო გეგმა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების, არასრულწლოვანთა ინფორმირების, შემთხვევათა პრევენციისა და მათზე დროული და ეფექტიანი რეაგირების შესახებ. ეს განსაკუთრებით პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების თანამშრომლები არ არიან გადამზადებულნი შესაბამის საკითხებზე, ხოლო თავად ბავშვებიც ნაკლებად არიან ინფორმირებულნი იმ უწყებების შესახებ, რომლებსაც ძალადობის ან ძალადობის ეჭვის შემთხვევაში შეიძლება მიმართონ. საკითხს კიდევ უფრო ამწვავებს დაწესებულების ბენეფიციარებთან სოციალური მუშაკის ვიზიტების შემამოფოთებელი სიმცირე.

7. განათლების უფლება

არასრულწლოვანთა წვდომა სკოლამდელ და ზოგად განათლებაზე, გარანტირებულია როგორც ბავშვის უფლებათა კონვენციით²⁹, ისე საქართველოს კანონმდებლობით.³⁰ ამაში იგულისხმება, როგორც სკოლამდელი, ისე ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებათა კოდექსის 30-ე მუხლში ალტერნატიული ზრუნვის განმახორციელებელი დაწესებულებისთვის დადგენილი ვალდებულება არასრულწლოვანების განათლების, მათ შორის, არაფორმალური განათლების შესახებ. ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია ტექნიკური რეგლამენტის - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მე-8 მუხლი, რომელიც ბავშვის განვითარებისა და რეალიზებისთვის აუცილებელი უნარების განსავითარებლად, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსამზადებლად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სწორედ განათლების მიღებას. სტანდარტი ადგენს სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის ვალდებულებას. განსაკუთრებული

²⁹ გაერთიანებული ერების კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1994 წელი, მუხლი 29. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

³⁰ ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლები: 10, 36, 50, 30.

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების გამოვლენისა და შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფის, არაფორმალური განათლების წახალისების კუთხით (სტანდარტი №8).

დაწესებულების ყველა აღსაზრდელი იღებს განათლებას. რამდენიმე მათგანი არის აბიტურიენტი. ბავშვების განმარტებით, გაკვეთილების შემდეგ, გახანგრძლივებული გაკვეთილები უტარდებათ, და დავალებებს ამ დროს ამზადებენ. არასრულწლოვნებს საშინაო დავალების მომზადებაში აღმზრდელებიც ეხმარებიან.

პრობლემურია სკოლის პანსიონის შენობის მე-3 სართულზე განთავსება. აღსაზრდელების თქმით, პანსიონის აღმზრდელები დასვენების პერიოდში ადიან სკოლის სართულზე და ყურადღებას აქცევენ ბავშვების ყოფაქცევას. პანსიონის შენობაში სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს აცნობიერებენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც, რომლებმაც შეხვედრისას განმარტეს, რომ უახლოეს მომავალში გეგმავენ სკოლის აშენებას.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში არსებობს არაერთი სახელოვნებო, სახელობო და მუსიკალური წრე, რომელშიც ბავშვებს სასკოლო გაკვეთილების შემდეგ შეუძლიათ ჩართვა. კერძოდ, პანსიონში არის 17 სახის ე.წ. სტუდია: მინანქრის, ხელსაქმის, თექის, გობელენის, ფორტეპიანოს, ჭადრაკის, ქორეოგრაფიისა და სხვ. ბავშვებს შეუძლიათ მათთვის სასურველ ნებისმიერ წრეში ჩაერთონ. აღსანიშნავია, რომ ყველა აქტივობა პანსიონის შენობაში ტარდება, სადაც წრის მასწავლებლები თავად მიდიან. ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ბავშვებს შეუძლიათ დაწესებულების გარეთაც ჩაერთონ მათთვის სასურველ წრეებში.³¹ თუმცა არასრულწლოვანთა თქმით, ეს არც ისე ხშირია.

კოვიდ პანდემიის პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე ყოფნის პერიოდში, მოსწავლეები, ძირითადად, “Teams-ის” და „messenger-ის“ პროგრამებს იყენებდნენ გაკვეთილში ჩართვის მიზნით. თუმცა დისტანციური სწავლებისას ბავშვები საკლასო ოთახებში იმყოფებოდნენ, რადგან სკოლა პანსიონის მე-3 სართულზეა, ხოლო მასწავლებლები და ის ბავშვები, რომლებიც მშობლებთან იყვნენ, ონლაინ ერთვებოდნენ. ამ მხრივ, ბავშვების განმარტებით, პროგრამული ხარვეზები, ტექნიკის და ინტერნეტთან წვდომის პრობლემა არ შექმნიათ.

დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება

არასრულწლოვნის უფლებების დაცვის, მისი საჭიროებების უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი ბავშვის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება და ამ მხრივ მისი გაძლიერებაა. ამ ვალდებულებას აწესებს, როგორც გაერთიანებული ერების

³¹ ეს დადასტურდა ბენეფიციარებთან გასაუბრებითაც. ერთ-ერთი რესპონდენტი ბენეფიციარი ჩართული იყო კულინარიის სასწავლებელში დაწესებულების გარეთ. აგრეთვე, სკოლაში არის ბენდი, რომელიც მუშაობს/უკრავს ბათუმში სხვადასხვა ობიექტზე. აბიტურიენტები დადიან ე.წ. რეპეტიტორებთან დაწესებულების გარეთ.

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ³², ისე ბავშვზე ზრუნვის საერთაშორისო სტანდარტები.³³ ბავშვის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას, როგორც არასრულწლოვნის ალტერნატიული ზრუნვის ერთ-ერთ ვალდებულებასა და მიზანს, განიხილავს ბავშვის უფლებათა კოდექსი.³⁴ დაწესებულებების ვალდებულებას ამ კუთხით, კიდევ უფრო დაწვრილებით განსაზღვრავს ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, რომლის თანახმადაც, აუცილებელია, ალტერნატიული ზრუნვის ფარგლებში არასრულწლოვანს გამოუმუშავდეს დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის საჭირო უნარები, მიიღოს განათლება და ჩაერთოს ზრუნვიდან გასვლის შესახებ სამომავლო გეგმების განსაზღვრის პროცესში (სტანდარტი №13). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ საკითხების დეტალურ გაწერას ბავშვების ინდივიდუალური განვითარების გეგმებში და მათი შესრულების ეფექტიან მონიტორინგს. ამასთანავე, აუცილებელია ბავშვის ინფორმირება და მასთან კონსულტაციები სახელმწიფო ზრუნვის დატოვების პროცესისა და სამომავლო გეგმების შესახებ.³⁵

მონიტორინგის დროს, არასრულწლოვნებთან გასაუბრების შედეგად, განსაკუთრებით მძაფრად გამოიკვეთა სახელმწიფო ზრუნვის ფორმის, ზრუნვიდან გასვლის და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსამზადებელი ეტაპების შესახებ ბავშვების ინფორმირებულობის სიმწირე. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგის თქმით, აღმზრდელები მუშაობენ ბავშვებში დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების განვითარებაზე, და პროფესიის არჩევის თაობაზეც ხშირად ესაუბრებიან მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებს, შეხვედრისას ბავშვების ნაწილი აცხადებდა, რომ დაწესებულების გარეთ საკუთარი ცხოვრება არ წარმოუდგენია. ბავშვებში ნაკლებად არის იმის განცდა, რომ სახელმწიფო ზრუნვა უნდა დატოვონ. პანსიონისადმი განსაკუთრებულ მიჯაჭვულობას გარკვეულწილად განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ბავშვების დიდი ნაწილი ჩვილობიდან ან მცირეწლოვნების ასაკიდან ცხოვრობს პანსიონში. თუმცა ამას განსაკუთრებით უწყობს ხელს გარე სამყაროსგან მეტწილად მოწყვეტილი გარემო, რაც დაწესებულებაშია. კერძოდ, საჯარო სკოლის უშუალოდ პანსიონის შენობის ერთ-ერთ სართულზე განთავსება და არაფორმალური განათლებისა თუ სახელოვნებო წრეების დაწესებულების შიგნით მოწყობა. ყოველივე ეს იწვევს ბავშვების გარე სამყაროსგან გაუცხოებას, რაც, დამოუკიდებელი ცხოვრების მზაობის კუთხით, განსაკუთრებულ რისკს წარმოშობს.

არ ხდება ბავშვების სოციალიზაცია, კერძოდ, ბავშვებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი იშვიათად ტოვებენ დაწესებულების ტერიტორიას და არ იცნობენ სოფელში მცხოვრებ თავიანთ თანატოლებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ერთ-ერთი ბენეფიციარის ნათქვამი, რომელმაც ინტერვიუს

³² გაერთიანებული ერების კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1994 წელი, პრეამბულა.

³³ Resolution adopted by the General Assembly, Guidelines for the Alternative Care of Children, Support for aftercare, 24 February 2010, ხელმისაწვდომია: <https://bettercarenetwork.org/sites/default/files/2021-03/GuidelinesAlternativeCareofChildrenEnglish.pdf> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021]

³⁴ ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 30

³⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი იანვრის N66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ“, მუხლი 13, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2198153?publication=5> [ბოლოს ნანახია: 12/07/2021]

დროს აღნიშნა, რომ თავიდან არ სიამოვნებდა სკოლის შენობის შიგნით არსებობა, თუმცა ახლა მიეჩვია და საერთოდ არ სურს პანსიონის გარეთ გასვლა. ერთ-ერთმა ბენეფიციარმა ასევე აღნიშნა, რომ პანსიონიდან გასვლა მხოლოდ სამედიცინო სერვისის მისაღებად უწევს. დანარჩენ დროს კი პანსიონში ატარებს, გაკვეთილების დასრულების შემდეგ წრეებზე დადის.

მნიშვნელოვანი პრობლემაა აღმზრდელების არასრულწლოვანთა ოთახებში დაძინების პრაქტიკაც, მათ შორის, 14-15 და უფრო დიდი ასაკის მოზარდების ოთახებში. ეს ნეგატიურად მოქმედებს ბავშვებში დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე და არღვევს როგორც ბავშვების, ისე პერსონალის პირად სივრცეს.

აღსანიშნავია, რომ პანსიონის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარი დაწესებულებაში დაბრუნდა, რადგან, სავარაუდოდ, დამოუკიდებლად გაუჭირდა ცხოვრება. მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვნებს ქალაქში დამოუკიდებლად, აღმზრდელის გარეშე წასვლა არ შეუძლიათ. მათ აქვთ „ჯიბის ფული“, რომლებსაც მშობლები აძლევენ.

შესაბამისად, აუცილებელია არასრულწლოვნებთან დამატებითი მუშაობა, ინდივიდუალური გასაუბრებები და მათი ინდივიდუალური განვითარების გეგმების შემუშავების პროცესში ბავშვების ჩართულობის უზრუნველყოფა, რათა არასრულწლოვნებს სრული ინფორმაცია ჰქონდეთ ალტერნატიული ზრუნვის ფორმებზე და გააცნობიერონ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზაობის აუცილებლობა. ამასთანავე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღმზრდელებისა და პანსიონის ადმინისტრაციის როლს, რათა ხელი შეუწყონ ბავშვებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებაში. ამ კუთხით, საგანგაშოა პანსიონში სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკების ვიზიტების სიმცირე. ამაზე მიუთითებენ როგორც დაწესებულების თანამშრომლები, ისე თავად ბავშვებიც, რომელთა ნაწილი საერთოდ არ იცნობს თავის სოციალურ მუშაკს, ნაწილი კი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში შეხვედრია. გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარმა განაცხადა, რომ სოციალური მუშაკის ნომერი მისცეს, თუმცა გადააგდო. ეს ფაქტი სახელმწიფო სოციალური მუშაკის მიმართ გაუცხოებასა და უნდობლობაზე მიუთითებს.

8. ბავშვებთან გასაუბრების შედეგები

პანსიონში ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სწორედ დაწესებულებაში მცხოვრებ ბენეფიციარებთან გასაუბრება იყო. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ არასრულწლოვნებს ჰქონდათ წინასწარი განცდა, შფოთვა და ღელვა დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის შესვლასთან დაკავშირებით.³⁶ მიუხედავად ამისა, პანსიონის არაერთმა ბენეფიციარმა თავადვე გამოხატა სახალხო

³⁶ ამ კუთხით, გასათვალისწინებელია, რომ დაწესებულებაში მონიტორინგის ჩატარება დაემთხვა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონთან დაკავშირებულ მოვლენებსა და ასევე, თავად სოფელ ფერიის პანსიონის ყოფილი აღმზრდელის, ლ.ს.-ს საჯარო განცხადებებს პანსიონში ჩადენილი სავარაუდო

დამცველის რწმუნებულებთან გასაუბრების სურვილი. თუმცა მათი ნაწილი გასაუბრების დასაწყისში ემოციური იყო და ეტყობოდა, რომ წინასწარი, უარყოფითი მოლოდინი ჰქონდა ინტერვიუს მიმართ. არასრულწლოვნები, იმის მიუხედავად, სახალხო დამცველის რწმუნებული რა შინაარსის კითხვას დაუსვამდა, განსაკუთრებით ცდილობდნენ საგანგებოდ აღნიშნათ, რომ პანსიონში არ ხდება ძალადობა.

არასრულწლოვნებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვების უმრავლესობა ჩართულია არაერთ არაფორმალური განათლების წრეში და იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში. თუმცა ბავშვები იშვიათად ტოვებენ დაწესებულების შენობას. ინტერვიუს მონაწილე ბავშვებს განსაკუთრებული ნდობა ჰქონდათ მოძღვრისა და პანსიონის ხელმძღვანელის მიმართ. თუმცა პრობლემურია ბავშვების არაინფორმირებულობა იმ სახელმწიფო უწყებების შესახებ, რომლებსაც, ძალადობის შემთხვევებისას, შეუძლიათ, მიმართონ.

ბავშვები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ პანსიონში არ ეზღუდებათ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. შეუძლიათ, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრება ნებისმიერ საკითხზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პანსიონში გამოხატვის თავისუფლებაზე საუბრისას, ერთ-ერთმა არასრულწლოვანმა გაიხსენა პანსიონის ხელმძღვანელის მითითება, „სჯობს აქ თქვათ, ხალხში უაზროდ რომ არ წამოროშოთ რამე“. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებაში არ არის უკუკავშირისა და გაპროტესტების მექანიზმი და მასზე საპასუხოდ გაწერილი მეთოდოლოგია, ეს საკითხი, გარკვეულწილად, რეგულირების მიღმა რჩება.

გამოიკვეთა, რომ ბავშვებს არ აქვთ ინფორმაცია ძალადობის ფორმების შესახებ და უჭირთ, აღზრდის ფორმისგან განასხვავონ ძალადობრივი მოპყრობა. კერძოდ, ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავდა, *„კიდევ კარგი რომ დამიყვირეს, რადგან ეს ჩემთვის სამაგალითო დაყვირება იყო...“* ბავშვი ფიქრობდა, რომ იმსახურებდა დაყვირებას, რადგან *„ფრთიანი ანგელოზი არ არის არცერთი“*. ბავშვები აღნიშნავენ, რომ ჭამის დროს კუთხეში დაყენება, წამორტყმა, ოთახში ჩაკეტვა მხოლოდ ბავშვობის ასაკში ხდებოდა. ერთ-ერთმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც ბავშვობაში აღმზრდელმა საჯდომზე წამოარტყა, თუმცა როგორც ამბობს, ეს იმიტომ გააკეთა, რომ მისთვის კარგი უნდოდა. მისი თქმით, ასეთ დროს ამგვარი ქცევა გამართლებულია, - *„ნერვები მოეშალა და წამომარტყა“*, - განაცხადა ბენეფიციარმა.

ბავშვებმა არ იცოდნენ, რა არის ინდივიდუალური განვითარების გეგმა და რა წერია მასში. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნები არ იცნობენ სოციალურ მუშაკს და არ გამოხატავენ მის მიმართ ნდობას. ბავშვების განცხადებით, საჭიროებისამებრ, საკუთარი სურვილითაც მიდიან ფსიქოლოგთან და ესაუბრებიან.

ძალადობრივი ფაქტების შესახებ, რამაც გამოიწვია მედიის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ყურადღება ხსენებული დაწესებულების მიმართ.

არასრულწლოვნების განცხადებით, ისინი არ არიან ვალდებულნი, დაესწრონ ლოცვასა და წირვას. დაწესებულებაში არ არის შეზღუდვები ჩაცმულობასთან დაკავშირებით.³⁷

ყოველივეს გათვალისწინებით, არასრულწლოვნებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ბავშვები, გარკვეულწილად, მოწყვეტილნი არიან გარე სამყაროს. მათ ნაწილს ვერც კი წარმოუდგენია პანსიონის გარეთ ცხოვრება. პრობლემურია ასევე, ბავშვების ძალადობის ფორმების შესახებ და იმ უწყებების შესახებ ინფორმირების საკითხი, ვისაც აღნიშნულ შემთხვევებში შეიძლება, მიმართონ. ბავშვები არ იცნობენ საკუთარ სოციალურ მუშაკს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იციან სოციალური მუშაკის შესახებ, როგორც წესი, არ აქვთ მის მიმართ ნდობაზე დამყარებული დამოკიდებულება.

დასკვნა

ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონში ჩატარებულმა ვიზიტმა კიდევ ერთხელ აჩვენა დიდი ზომის რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებებთან დაკავშირებით არსებული ის გამოწვევები, რომლებზეც სახალხო დამცველის აპარატი წლებია მიუთითებს. პანსიონის შენობის გამართული ფიზიკური ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ბაზისური მდგომარეობის და სრულფასოვანი კვების მიუხედავად, დიდი ზომის დაწესებულებების ინსტიტუციური მოწყობა არათუ ვერ უზრუნველყოფს, არამედ ეწინააღმდეგება ბავშვის, მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ ოჯახურ გარემოში აღზრდის ვალდებულებას. დაწესებულებაში არსებული წესები, ჩაკეტილი გარემო, სკოლისა და სხვადასხვა წრის პანსიონის შიგნით მოწყობა, ბავშვებს პანსიონისადმი არაჯანსაღ მიჯაჭვულობას უყალიბებს, ხელს უშლის მათ სოციალიზაციას, ბავშვებში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებასა და სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლისთვის მზაობას.

ბავშვებს, გარკვეულწილად, პირად სივრცეს ართმევს და საკითხს კიდევ უფრო ამწვავებს აღმზრდელების არასრულწლოვანთა საძინებელში განთავსება და გაკვეთილებს შორის დასვენებისას, აღმზრდელების სკოლის სართულზე, დერეფანში ყოფნა.

მწვავედ დგას პანსიონში მცხოვრები ბავშვების ინფორმირებულობის საკითხი საკუთარი უფლებების, მათი დაცვის მექანიზმების, ძალადობის ფორმებისა და შემთხვევაზე ეფექტიანი რეაგირების შესახებ. არასრულწლოვნებს უჭირთ ძალადობის ფორმებისა და აღზრდის ფორმების განსხვავება. მწვავედ დგას ასევე, პანსიონის თანამშრომლების გადამზადების საჭიროება რთული ქცევის მართვის, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ.

პრობლემურია ასევე, პანსიონში არასრულწლოვნების ოფიციალურად ჩარიცხვის გარეშე ცხოვრება და ამ პროცესის მკვეთრად არაეფექტიანი, გაჭიანურებული მართვა. გარდა ამისა, მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ ამ ბავშვებს დაწესებულებაში განთავსების შემდგომ, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკი არ

³⁷ თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მარხვის დაცვა ბავშვების სურვილზეა დამოკიდებული, ოთხშაბათსა და პარასკევს ყველასთვის სავალდებულოა.

შეხვედრია. აღსანიშნავია, რომ ზოგადად, საგანგაშო დაწესებულებაში სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკების ვიზიტების სიმცირე. მათ არ აქვთ ინდივიდუალური, ეფექტიანი, ნდობაზე დაფუძნებული კომუნიკაცია ბავშვებთან, რაც არსებითად აფერხებს არასრულწლოვნების უფლებების დაცვასა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას.

მონიტორინგის შედეგებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა შედეგზე ორიენტირებული, ეფექტიანი ღონისძიებების დროულად განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს დენსტიტუციონალიზაციის პროცესს, და უზრუნველყოფს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნების ოჯახურ და მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ გარემოში აღზრდას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბავშვებისა და მათი ბიოლოგიური ოჯახების მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე ორიენტირებული სერვისების და მათ ფარგლებში არსებული რესურსების გაფართოება. ეს ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა რეინტეგრაციის პროცესს და უზრუნველყოფს ბავშვების ბიოლოგიური ოჯახებიდან გამოყვანის თავიდან აცილებას.

რეკომენდაციები

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- უზრუნველყოს სოციალური მუშაკების რეგულარული ვიზიტები დაწესებულებაში, რომლის ფარგლებშიც შეაფასებენ არასრულწლოვანთა დოკუმენტაციას, საცხოვრებელ გარემოს, მათ მიმართ გამოვლენილ მზრუნველობას და ბავშვებს ინდივიდუალურად გაესაუბრებიან
- ტექნიკური რეგლამენტის - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, რეგლამენტში მითითებული პერიოდულობითა და არასრულწლოვნებისა და მათ აღზრდაზე პასუხისმგებლები პირების მონაწილეობით შემუშავდეს თითოეული აღსაზრდელის ინდივიდუალური განვითარების გეგმა
- აღსაზრდელთა ინდივიდუალური განვითარების გეგმები ინახებოდეს როგორც სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, ისე პანსიონში, იმგვარად, რომ ხელმისაწვდომი იყოს თავად აღსაზრდელებისთვისაც
- მოხდეს პანსიონის ადმინისტრაციის ინფორმირება აღსაზრდელთა ნახვასა და გაყვანაზე უფლებამოსილი პირების შესახებ და დაწესებულებას მიეწოდოს შესაბამისი დოკუმენტაცია
- მოხდეს არასრულწლოვანთა ინფორმირება დაწესებულებიდან გასვლის შესახებ და ხელი შეეწყოს ბავშვებში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას და, ამ კუთხით, შეფასდეს დაწესებულების მიერ გატარებული ღონისძიებები
- მოხდეს პანსიონში, ჩარიცხვის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე მცხოვრები არასრულწლოვნების დროული შეფასება და ხელი შეეწყოს მათი სახელმწიფო ზრუნვაში ოფიციალურად განთავსების პროცესს, ასეთი საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში.

ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონს:

- დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაცია მოწესრიგდეს ტექნიკური რეგლამენტის - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესაბამისად. მათ შორის, აწარმოონ ყველა ის ჟურნალი, რომლის არსებობაც და შევსებაც ხსენებული რეგლამენტით სავალდებულოა
- პანსიონში შემუშავდეს ანონიმური უკუკავშირისა და გაპროტესტების ეფექტიანი მექანიზმი და უკუკავშირზე რეაგირების ეფექტიანი სისტემა
- დაწესებულებაში დასაქმებული ფსიქოლოგის სამუშაო აღწერილობაში დაემატოს და დეტალურად გაიწეროს პანსიონის საადმინისტრაციო ნაწილში მუშაობის საკითხი და მისი მოცულობა. ხოლო შენობაში გამოიყოს ისეთი ოთახი, სადაც ფსიქოლოგი შეძლებს ბავშვებთან ინდივიდუალურად გასაუბრებას
- პანსიონის აღსაზრდელებისთვის ხელმისაწვდომი იყოს საერთო ტელეფონი, რომლითაც 24 საათის განმავლობაში დამოუკიდებლად შეძლებენ სარგებლობას
- განცალკევდეს აღმზრდელო და აღსაზრდელო სადინებლები, გარდა ჩვილი და მცირე ასაკის აღსაზრდელებისა, საჭიროებისამებრ
- მოეწყოს დაწესებულების ეზო და აღიჭურვოს ბავშვების გართობისა და დასვენებისთვის საჭირო ინვენტარით
- დაწესებულების შენობაში ხელმისაწვდომ ადგილას განთავსდეს ცხელი ხაზის ნომრები, მათ შორის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს და სახალხო დამცველის აპარატის
- სკოლა განცალკევდეს პანსიონის შენობისგან
- დაიგეგმოს ეფექტიანი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთა სოციალიზაციას, მათი ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით, შესაბამის არაფორმალურ წრეებში, მათ შორის, სპორტულ წრეებსა და აქტივობებში, ჩართვას და განსაკუთრებით, ბავშვებში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.